# ცნობის ფურცელი

ლ Ⴂ. ყოველ-დღიური გამოცემა.—სამშაბათი, 12 სექტემბერი 1900 წ. № 1236

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. **ფასი** განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**


# სკოლა და პანსიონი

## ა. ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს გიმნაზიის, რეალურ, კომერციულ და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის. ყმაწვილების მიღება—30 აგვისტოდგან.

**ადრესი:** ოლგინის ქუჩა (Ольгинская ул.), სახლი დრობიშევისა, ზემმელის აფთექის მახლობლად. (10—6)

შესახებ ყოველივე საქმეებისა—ნაწარმოებთა ანუ ბუნებითი სიმდიდრისა **ქართველთა მემამულეთა**, მიჰმართავენ მსურველნი დროებით ბიუროში **რაფიელ ისარლოვს**, ქართველ მემამულეთა წარმომადგენელს პარიზის გამოფენაში.—ადრესი: **RAPHAEL ISARLOFF.**

(ნ. 16—11) **Paris, rue des Ecoles, 40.**


# ახალი ამბავი

—

✦ „პრავიტ. ვესტნიკის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდილია შემდეგი **მთავრობის განკარგულება**, რომლის შინაარსი უკვე დეპეშით იყო გადმოცემული წინად: „ხელმწიფე იმპერატორმა, 12 წარსულ აგვისტოს, დაამტკიცა უმართებულესი სინოდის უქვეშევრდომილესი მოხსენება იმის შესახებ, რომ გორის ეპისკოპოზი, საქართველოს ეპარქიის პირველი ვიკარი ლეონიდი იყოს იმერეთის ეპისკოპოზად, ალავერდის ეპისკოპოზი კი, მეორე ვიკარი საქართველოს ეპარქიისა კირიონი იყოს გორის ეპისკოპოზად და საქართველოს ეპარქიის პირველ ვიკარად“.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი **ი. ნ. სვეჩინი** დაბრუნდა ტფილისს და გუშინდელ დღიდან შეუდგა თავის მოვალეობათა აღსრულებას.

✦ კვირას, 10 სექტემბერს, საგანგებო კომისიამ, ტეხნიკების დასწრებით, დაათვალიერა ვერის ხიდთან მდებარე ადგილი, რომელზედაც განზრახულია **სახალხო სახლის** აშენება. კომისიას მოუწონებია ადგილი; ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, დანიშნულია კომისიის სხდომა განსახილველად სახლის გეგმისა და აშენების ხარჯთ-აღრიცხვისა.

✦ ხუთშაბათს, 14 სექტემბერს, ქალაქის სასწავლებელთა გამგე **კომისიას სხდომა** ექნება, რომელზედაც ამორჩეულ იქმნებიან ქართულ-სომხურ [illegible] მრთო სჯულის მასწავლებლები. იმავე კრებაზე განიხილავენ კითხვას სკოლებისათვის ექიმის მოწვევის შესახებ. განიხილავენ აგრეთვე წინადადებას კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსისას შესახებ სამრეწველო სკოლის დაარსებისა ავლაბარში მაგიერ განზრახულის პროგიმნაზიისა.

✦ ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციას წელს კიდევ მიუმატეს **სახალხო სკოლების ინსპექტორის** ორი ადგილი, რომელზედაც უკვე დანიშნული არიან: ბ-ნი სუდაკოვი, გორის სემინარიის მასწავლებელი, და ბ-ნი იზმაილოვი, ქ. ეკატერინოდარის სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი; ბ-ნ სუდაკოვის ზედამხედველობაში იქნება სენაკის მაზრის და ბათუმის და ართვინის ოლქების სკოლები. სუდაკოვი იცხოვრებს ქ. ფოთში. ბ-ნ იზმაილოვის—ზუგდიდის მაზრის და სოხუმის ოლქის სკოლები. საცხოვრებლად ბ-ნი იზმაილოვი აირჩევს ქ. სოხუმს. ძველს ინსპექტორებს ბ. ბ. სავიჩს და ნოვოსპასკის დარჩება ხუთი მაზრა: პ. ი. სავიჩს—ქუთაისის და ოზურგეთის მაზრების სკოლები და ნ. ვ. ნოვოსპასკის—შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრების სკოლები.

✦ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, იქ 3 სექტემბერს მოჰხდა ქუთაისის **საქველ-მოქმედო საზოგადოების წევრთა** კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა, სხვათა შორის, ბავშვების სამუშაო სახლის წესდება. როგორც ვუწყით, ქუთაისში არსდება ქ-ნ ა. ი. პოლკოვნიკოვის თაოსნობით, ღარიბ ბავშვების სამუშაო სახლი, რისთვისაც ზემოხსენებულმა საზოგადოებამ შეიძინა ქალაქში მიწა და სახლი 7,000 მან. ჩვენდა სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით საქმე არ არის მთლად გათავებული და ა. ი. პოლკოვნიკოვის მონაწილეობის მიღება ძლიერ სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ქ-ნი პოლკოვნიკოვისა ქუთაისიდან გადადის ქ. ტომსკში. კრებამ დიდი მადლობა გამოუცხადა მას მის დაუღალავ მო- [illegible] საპატიო წევრად. საზოგადოების მდივნად ა. ი. პოლკოვნიკოვის მაგივრად არჩეულ იქმნა ვ. ა. დემიდოვი.

✦ კუხის მეაბრეშუმეთა **ამხანაგობის წესდება** წარუდგენია ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს კავკასიის მთავარ-მართებლისათვის დასამტკიცებლად. როგორც შევიტყვეთ, ხსენებული წესდება ერთხელ კიდეც დაუბრუნებია გუბერნატორს, რათა ამხანაგობის მმართველობას შეესწორებინა იგი და დაეახლოვებინა ნორმალურ-წესდებისათვის.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრომ გამოუგზავნა კავკასიის საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებას 500 მანეთი სხვა-და-სხვა **ხილეულობის კოლექციის** შესადგენად პარიზის გამოფენისათვის. ხსენებულ საზოგადოება უკვე შეუდგა კოლექციის შედგენას.

✦ ტფილისის **საკომერციო სასწავლებელში** სულ 580 თხოვნა შესულა სასწავლებელში მიღების შესახებ. მაისის ეგზამენების შემდეგ მიუღიათ 300 ბავშვი. ხოლო რადგანაც სულ 460 ვაკანსიაა, ამიტომ კიდევ მიიღებენ 160 ბავშვს, რომელთა გამოცდაც დასრულდა გუშინ, 11 სექტემბერს. 4 ბავშვს, სახელდობრ—უტენ მარრს, გიორგი ლომინაშვილს, პეტრე კოიალოვს და გარეგინ ტერ-ნიკოლოსოვს—დაენიშნა სასახლის ქუჩის კომერსანტების სტიპენდია.

✦ მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მრეწველთა მომავალ კრების თავმჯდომარეთ ამოურჩევიათ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა რწმუნებულის თანაშემწე **თ. ა. შიმანოვსკი** და მის თანაშემწედ **გ. პ. ივანოვი**. ხოლო კრების მდივნად დანიშნულ იქმნა უფროსი მეაბრეშუმე ი. გ. ქუთათელაძე. ყველა ხსენებულნი პირნი საბაღოსნო საზოგადოების განყოფილებამ წარუდგინა მიწად-მოქმედების მინისტრს დასამტკიცებლად.

✦ ცნობილი მასწავლებელი ქა- [illegible] მიზეზებისა გამო გადასახლდა საცხოვრებლად მოსკოვში. კვირას, 10 სექტემბერს, რკინის გზის სადგურზე თავი მოიყარა ბლომად საზოგადოებამ, რათა გამომშვიდობებოდა პატივსაცემ მშრომელ ქალს, რომელმაც თავის მოღვაწეობით და პირადი ღირსებებით საერთო სიმპატია დაიმსახურა ტფილისის მცხოვრებთა შორის. ქ. კაიდანოვის გამოსამშვიდობებლად მოსულთა შორის იყვნენ ბლომად მასწავლებელი ქალები, ქალების და ზოგიერთ სავაჟო საშუალო სასწავლებლის მოსწავლენი და მასწავლებლები და სხვა. ეტყობოდა, რომ ყველას ენანებოდა კარგი ამხანაგის გაშორება. მესამე გიმნაზიის მასწავლებელმა ი. ი. პლამენევსკიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან აღნიშნა ქ-ნ კაიდანოვის მოღვაწეობა და ისურვა პატივსან მოღვაწე ქალის მრავალჟამიერი სიცოცხლე და ძალღონე მომავალში საშრომელად.

✦ **ტფილისის საბაღოსნო სკოლის** უფროს კლასების მოწაფენი, სკოლის გამგის პრიტულენკოს ხელმძღვანელობით, აპირებენ კახეთში ფეხით მოგზაურობას. ეკსკურსანტები ჯერ თელავის მაზრაში მიდიან, იქიდან გადავლენ სიღნაღის მაზრაში და

დაბრუნდებიან ტფილისში. ორივე მაზრაში მოწაფენი დაათვალიერებენ საუფლისწულო მამულებსა და საყურადღებო კერძო მამულებსაც.

◆ რადგანაც ქალაქის **სადეზინფექციო კამერის ექიმი** მძიმედ გახდა ავად, ამიტომ გამგეობას განუზრახავს დროებით მოიწვიოს სხვა ექიმი ამ თანამდებობაზე 135 მანათის ჯამაგირით თვეში.

◆ გზათა სამინისტრომ საბოლოოდ გადასწყვიტა გაანათოს სამგზავრო მატარებლები **ელექტრონით**.

◆ 7 ენკენისთვეს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა **გახსილ ჩიკვაიძის საქმე**. ქალაქ ბაქოში ჩიკვაიძემ და სოკოლოვმა ერთად დაიჭირეს სახლი და დაიწყეს თავ-თავიანთ ოჯახებით ცხოვრება. მალე სოკოლოვი დაითხოვეს სამსახურიდან ლოთობის გამო. სიმთვრალეშივე ხშირად უდიერად ეპყრობოდა ცოლს, რის მოწამედ თვით ჩიკვაიძე იყო და ხშირად სოკოლოვი დაუმშვიდებია კიდეც. იმ ღამეს, როდესაც მკვლელობა მოხდა, მთვრალი სოკოლოვი უყვიროდა თავის ცოლს და ეუბნებოდა: „ამაღამ შენი სისხლი მინ-[illegible] დალია სოკოლოვმა და როცა დასაძინებლად მიდიოდა, ცოლი არ მისდევდა. მაგრამ დასაძინებელ ოთახში ძალად შეითრია და კარი მოიხურა. ამ სურათის შემდეგ ჩიკვაიძეც თავის ოთახში შევიდა დასაძინებლად. ჩქარა ჩიკვაიძეს ქალის ყვირილი სასტუმრო ოთახიდან შემოესმა. საჩქაროდ იქით გაქანდა ჩიკვაიძე და დაინახა, რომ სოკოლოვს ცოლი წაექცია და ყელში წაეჭირებინა. როგორც დამნაშავე ამბობდა, იმან რევოლვერი დაცალა მხოლოდ შესაშინებლად. მეორედ როგორ დაცალა, არ ახსოვს ჩიკვაიძეს. უთუოდ სოკოლოვმა ხელი წასტაცა რევოლვერს და მაშინ თუ დაიცალა და მოჰხვდა ტყვია სოკოლოვს.

სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ბაქოს საოლქო სასამართლოს გარდაწყვეტილება, რომლითაც ჩიკვაიძე გაიგზავნება ირკუტსკის გუბერნიაში საცხოვრებლად.

◆ **დუშეთის მაზრიდან** გვწერენ: „თითქმის დუშეთის ყველა საზოგადოებებში ნაკლები მოსავალი მოვიდა, ნამეტნავად მთიულეთში, სადაც ქერის მეტს არა ფერს სთესენ. ამ ავდრიანობამ შემოსვლა აღარ დააცალა და ეხლაც ჯერ მოსამკალი აქვთ. თივადაც ვერ გაუთიბავთ, თორემ გასაღეწად რაღას დაეძებენ, სადაც მევენახეობას მისდევენ, არც იქ ემადლიერებიან ცას. ჯერ ისევ ისვრიმად არის ყურძენი და როდის ელირსება დამწიფება, ან კი ელირსება?.. ვენახებს კარგად ასხია, მაგრამ რა. თუ ამინდებმა ხელი არ შეუწყეს, ღვინოები ყველგან უვარგისი დადგება.

◆ **სოფ. ფარცხმიდან** (გურია) „ივერიას“ ხწერენ: „აგვისრულდა ფარცხმელებს დიდი ხნის წადილი. წელს დაამტკიცა მთავრობამ განაჩენი, რომლითაც ჩვენში ერთკლასიანი სასოფლო სამინისტრო სკოლა გარდაკეთებულ იქმნა ორკლასიანათ და შეიწყნარა სოფლის თხოვნა, რომლითაც სკოლას ეძლევა ხაზინიდგან მასწავლებლებს ჯამაგირი 350 და 250 მაეთი და აგრეთვე ერთდროებითი შემწეობა შენობის ასაგებად 400 მანეთი.

◆ **დაბა ხობიდან** სწერენ იმავე გაზეთს: „4 სექტემბერს ხობის მონასტერთან ხობის მონასტრის წინამძღვრის არხიმანდრიტის სვიმეონის მეცადინეობით დაარსდა სამრევლო საეკკლესიო ერთ კლასიანი სკოლა. სკოლაში ჯერჯერობით 25 მოსწავლეა ორისავე სქესისა. იმედია, სკოლა მალე ორკლასიანად გადაკეთდება.

◆ კავკასიის სამეურნეო საზო-[illegible]მავალ **გამოფენის** პროგრამის გამოსარკვევად მონაწილეობის მიღება გარდა იმ პირთა, რომელნიც უკვე მოხსენებულნი გვყავდა, დაევალა კიდევ შემდეგთ: ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან—ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს, ბათუმის ქალაქის გამგეობისაგან—გამგეობის წევრს ბ-ნ ივანოვს, ტფილის ბრმათა სკოლისაგან—სკოლის გამგეს ქ-ბ. ბუგაევსკისას, დუშეთის თავადაზნაურობისაგან—წინამძღოლს ბ-ნ ყარანგოზიშვილს.

◆ როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ, **ბაღოსნობის ნაწარმოების გამოფენა** გაიხსნება 25—30 სექტემბრამდე. გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულია ქუთაისის გუბერნატორი გ.-მ. თ. კ. გერშელმანი და გამოფენის ბიუროს თავმჯდომარედ ვიცე-ადმირალი ა. ი. გრევე. როგორც სჩანს, გამოფენა მეტად საინტერესო იქნება, რადგანაც ძლიერ ბევრმა დაწესებულებებმა და კერძო პირებმა განაცხადეს სურვილი მონაწილეობის მიღებისა. ყოველ ოლქისათვის და მაზრისათვის ცალკცალკე პავილიონები იქმნება გამართული ქალაქის ბულვარზე.

◆ რუსეთის რკინის გზების უფროსთა კრებაზედ განხილულ იქმნა საკითხი იმის შესახებ, თუ რა საშუალებით უნდა იქმნას გაუმჯობესებული ოკინის გზებზედ მსახურთა და წვრილ მოხელეთა მდგომარეობა. კრებამ გარდასწყვიტა—აუცილებლად საჭიროა **ჯამაგირების მომატება** რკინის გზის იმ მოხელეთათვის, რომელთაც სამ წელიწადზე მეტი უმსახურნიათ რკინის გზაზე.

◆ როგორც სოფ. დრანდიდან გვატყობინებენ, იქ შემდგარა მეაბრეშუმეთა **ამხანაგობა**, რომლის წესდებაც უკვე დაუმტკიცებია ქუთაისის გუბერნატორს.

◆ **ს. წილკნიდან** გვწერენ: „8 ენკენისთვეს მრავალი ხალხი იყრის თავს ახლო-მახლო სოფლებიდან მღვთისმშობლის სახელობაზე აშენებულ ტაძრის სალოცავად. ეს უძველესი ტაძარი აქნობამდის უყურადღებოდ იყო მიტოვებული. დღეს კი მღ. კ. ბანეტაშვილი შესდგომია რიგიანად მოვლას. ჯერ-ჯერობით გალავანი შეუკეთებია, გაუმშვენიერებია და შემდეგ უფრო მეტს აპირობს—თვით ტაძრის გამშვენიერებას ძალიან დახმარებას უწევს ამ კეთილ საქმეში მისი მეუღლე პატივცემული მელანია.

წრევანდელმა დღეობამ მშვიდობიანად ჩაიარა. უბრალო კინკლაობაც არავის მოჰსვლია.

◆ ახალ-ქალაქის მაზრიდგან გაზეთ „მშაკს“ **მეტად ცუდ** ამბებს სწერენ იმ გლეხთა მდგომარეობის შესახებ, რომელთა მოსავალიც გოტენტოტურმა ბალინჯომ დააზარალა. შიმშილობა დაიწყო; ბევრი უჭმელობისაგან ავად ხდება; რამოდენიმე კაცი ჭკუაზე შეიშალა სასოწარკვეთილებისაგან; ზოგი ოჯახი ავად გახდა იმის გამო, რომ ჭამა დაუწყო ხსენებულ ბალინჯოსაგან გაფუჭებულს პურს. გლეხები ნახევარ ფასად ჰყიდიან შინაურ საქონელს, რათა აღებულ ფულით იყიდონ და არჩინონ გაჭირვებაში მყოფი ცოლ-შვილი.

◆ ფინანსთა სამინისტრო აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1887 წლის 27 მანეთაინი, თუმნიანი და ხუთ-მანეთიანი **ქაღალდის ფული** და 1866 წლის 100 მანათიანი ხმარებაში იქმნებიან მხოლოდ 1902 წლის 1-ლ იანვრამდე.

◆ სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში დანიშნულია შემდეგი სესსიები **ტფილისის საოლქო სასამართლოსი**: ქ. დუშეთში—25 სექტემბრიდან 30-მდე ვ. ვ. ბოლდირევის თავმჯდომარეობით; თელავში—5 ოქტომბრიდან 9-მდე ი. ო. პარჩევსკის თავმჯდომარეობით; ზაქათალაში—16 და 17 ოქტომბერს ვ. ვ. ბოლდირევის თავმჯდომარეობით; შულავერში სესსია გაიხსნება ან ოქტომბრის დამლევს, ან ნოემბრის დასაწყისში.

◆ 1-ლ ნოემბრიდან ტფილისის საკომერციო სასწავლებელთან არსდება **საღამოს კურსები** ბუხჰალტერიისა, ანგარიშისა, და საკომერციო კორრესპონდენციის შესასწავლად.

◆ თავ. ბარათაშვილის, შიხი ტუსიშვილის, ოსიტაშვილის და ტერ-შმოვანოვის საქმე, რომელთაც ჰბრალდებათ **დ-ზ. გაბაშვილის მოკვლა**, გუშინ იყო დანიშნული სამოსამართლო პალატაში მესამეჯერ გასარჩევად, მაგრამ გადიდვა, რადგანაც თავ. ბარათაშვილის დამცველი ავად გამხდარა და პეტერბურგიდან დეპეშით უთხოვნია საქმის გადადება.

◆ ბელგიელთა უსახელო საზოგადოების დირექტორმა რობიმ დეპეშით შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ 8 სექტემბერს მან გამოგზავნა ფოსტით ქალაქ კელნიდან **პროექტი ტფილისის ელექტრონის ტრამვაისა**. ამ პროექტის წარმოდგენის ვადა 14 სექტემბერს თავდება. ფუნიკულიერის კონცესსიაც, როგორც იმის, რობის ბელგიელთა **საზოგადოებისათვის** მიუყიდნია.

◆ ბელგიელმა უსახელო საზოგადოებამ გუშინ შეიტანა ქალაქის კასსაში 100,0000 მან. იმ 600,000 მანეთის ანგარიშში, რომელიც საზოგადოებამ უნდა მისცეს ქალაქს სესხად **ქუჩების მოსაკირწყლად**.

◆ აგვისტოს განმავლობაში ტფილისში სხვა-და-სხვა **გადამდებ** სენით გამხდარა ავად 9 კაცი: დიფტერიტით—1, ხუნაგით—3, ქუნთრუშით—4 და ერთიც კეთრით.

◆ მოიჯარადრე მაჩაბარიანმა, რომელსაც აღებული ჰქონდა იჯარით ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის გლდანის ქვის მოშზადება და მოტანა, უარი განაცხადა უამინდობისა გამო იჯარის ასრულებაზედ, რისთვისაც ქალაქის გამგეობამ მას დაუჭირა 400 მან.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოიჯარადრე არუთინოვს გადასახდევინა ჯარიმა 300 მან. ქუჩების მოკირწყვლის საქმის დაბრკოლებისათვის.

# თეატრი

ოპერა. კვირას, 10 სეკტემბერს, ტფილისის სახაზინო ტეატრში დაიწყო საოპერო სეზონი. წარმოდგენილი იყო გლინკას ცნობილი ოპერა «ყიზნ ზა ცარია». ამ ოპერის როლები ასე იყო განაწილებული: ანტონიდას როლს მღეროდა ქ-ნ კუნცევისა, ვანიას როლს ქ-ნ გორნოტ ივ. სუსანინის როლს ბ. სიბირიაკოვი. ახალ ტრუპპის შესახებ ჯერ არაფერს გეტყვით; ჯერ-ჯერობით შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, რომ ბ-ნი სიბირიაკოვი (ბასი) კარგი შეძენაა სახაზინო თეატრისთვის: მას მძლავრი და მეტად სასიამოვნო ხმა აქვს, ნამეტურ დაბალ რეგისტრში; უეჭველია, ეს არტისტი ტფილისის საზოგადოების სიმპატიას დაიმსახურებს ამ სეზონში. უმთავრესს როლების სხვა აღმასრულებლები ცოტა არ იყოს სუსტობდნენ, ასე რომ საზოგადო შთაბეჭდილება ვერ იყო ჯეროვანად კარგი. საუცხოვო იყო ბალეტი, რომლის შედგენისათვის მართლა საქმაოდ უზრუნვია დირექციას; კარგია პრიმაბალერინა და კარგები არიან სხვა მოცეკვავებიც; მათ მიერ აღსრულებული მაზურკა და პოლონეზი მშვენიერი სანახავნი იყვნენ: ცოტათი შთაბეჭდილებას ახდენდა ის, რომ ბ. პიტეტიგი იქვე სცენაზე, დირიჟორობდა. კოსტიუმები და სცენის მოწყობილება ჩვეულებრივად ბრწყინვალე იყო. პირველ წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო. წარმოდგენის დაწყებამდე აღსრულებული იყო საეროვნო გიმნი, რომელიც საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა.

სახალხო თეატრი, კვირას, 10 სექტემბერს, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, დაიწყო ქართულ სახალხო წარმოდგენათა სეზონი. წარმოდგენილ იქმნა ერისთავის კომედია «მუნწი» და ნაჩვენები იქმნა ბუნდოვანი სურათები ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ამბებიდან: «თავდადებულნი ქართველნი». წარმოდგენამ, რომელიც გაიმართა ბ-ნ შათირიშვილის რეჟისორობით, მშვენივრად ჩაიარა. სურათები და კითხვა ხალხს ძალიან მოეწონა. წარმოდგენას ჩვეულებრივად დიდძალი საზოგადოება დაესწრო. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 14 სექტემბერს.

## სატახტო ქალაქის გაზეთების დეპეშები

∝ საფრანგეთის გავლენიანი გაზეთები წინააღმდეგობას აცხადებენ პეკინიდან ჯარების გაყვანის შესახებ. ჯარების გაყვანა მაშინ იქნებოდა საჭირო, ამბობენ ეს გაზეთები, თუ ჩინეთის მთავრობა გამოაცხადებდა—არ დავიწყებ მშვიდობიანობაზე მოლაპარაკებას, სანამ მოკავშირენი ჯარებს არ წაიყვანონ. მაგრამ ამ ჟამად, როდესაც ჩინეთის მთავრობამ რწმუნებულებიც დანიშნა მშვიდობიანობის შესახებ მოსალაპარაკებლად, აზრი აღარ აქვს ჯარების წაყვანას პეკინიდანაო. მით უმეტეს არ შეიძლება ეხლა ჯარების წაყვანა, რომ პაოტინფუში კვლავ დაიწყო უწესოება. ამ მოსაზრებათა გამო უმჯობესი იქნება დავტოვოთ ჯერ-ჯერობით ჯარები ჩინეთშიო. საფრანგეთისა და რუსეთის ამგვარს ნაბიჯს არავინ ჩასთვლის დიპლომატიურ დამარცხებადაო, უმატებენ ამასთანავე ხსენებულნი გაზეთები.

∝ პრინცი ცინი, რომელიც დაინიშნა ჩინეთის მთავრობისაგან რწმუნებულად მშვიდობიანობის პირობათა გამოსაკვლევად, მივიდა უკვე პეკინს. მისი სიტყვით, ჩინეთი მზად არის უოკველივე მსხვერპლი მოიტანოს იმ პირობით-კი, რომ სახელმწიფონი არაფერს მოსთხოვენ ისეთს, რაც ცისქვეშ იმპერიის ღირსების დამცირება იქნება. შანხაიდან მოსულ დეპეშის სიტყვით, მოლაპარაკებას საფუძვლად დაედება შემდეგი მუხლები: 1) ტიან-ძინის აღიარება ნეიტრალურ ქალაქად, 2) მანჯურიის პროვინციებისა და ლიაოტუნგის ნახევარ კუნძულის აღიარება დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, 3) სახელმწიფოებს ნება მიეცეს იყოლიონ ზოგიერთ ნავთ-სადგურებში რაზმები და 4) მოკრივეთა წინამძღოლების სიკვდილით დასჯა.

∝ კრიუგერის წასვლამ ტრანსვაალიდან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ინგლისურ გაზეთებში. უმეტესი ნაწილი გაზეთებისა ამბობს, რომ კრიუგერი იმიტომ გაიქცა, რომ დარწმუნდა—ტრანსვაალს აღარაფერი ეშველებაო. ზოგი გაზეთი-კი იმ აზრისა არის, რომ კრიუგერს მტკიცედ აღნიშნული გეგმა აქვს მოქმედებისა და მას სრულიადაც არ უფიქრია გაქცევაო. «დეილი მალ»-ში შემდეგი საყურადღებო დეპეშა იყო დაბეჭდილი ლორენცო-მარკეზიდან: კრიუგერმა უარი თქვა პრეზიდენტობაზე და დარჩა აღმასრულებელ კომიტეტის წევრად; ის მქვსის თვით მიდის ევროპაში, სადაც აპირებს სახელმწიფოების დაკლას და მთავრობებისთვის შუამდგომლობის წარდგენას იმის შესახებ, რომ ისინი ეცადნენ ტრანსვაალის დამოუკიდებლად დარჩენისათვის; კრიუგერს იმედი აქვს, რომ მისი პირადი თხოვნა შეწყნარებული იქნება ევროპისაგან.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**11 სექტემბერი**

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება რუსეთის საელჩოს, რუსეთის ჯარისა და ჯარისა და რუსეთის ქვეშევრდომთა პეკინიდან ტიანცზინში წასვლის შესახებ, გამოქვეყნებული 12 და 13 აგვისტოს დეპეშებში, რუსეთის ელჩმა მხოლოდ 23 აგვისტოს მიიღო ტელეგრაფის გაფუჭების გამო. ელჩმა გირსმა და გენ. ლინევიჩმა მაშინვე მიიღეს ზომები უმაღლესი ბრძანების აღსასრულებლად; რამდენიმე წევრი საიმპერატორო მისსისა და საექსპედიციო რაზმის პირველი ეშელონება წავიდნენ ტიანცძინისაკენ.

**პეკინი.** რუსეთის ქვეითა ჯარის პოლკი და ბატარეია წავიდა ტიან-ძინს.

**სოფია.** სოფიის, ფილიპოპოლის და სლივენის დივიზიების ის ჯარის-კაცები, რომელთაც სამსახურის ვადა გაუთავდათ, დათხოვნილ იქმნენ.

**მადრიდი.** მარშალი მარტინეც კამპოსი გარდაიცვალა.

**ვაშინგტონი.** მთავრობა ხვალ გამოაქვეყნებს ნოტას, რომელშიც გამოცხადებულია, რომ შეერთებულ შტატების სამხედრო ძალას შეადგენს საელჩოების დამცველი რაზმი, რომელიც საჭირო იქნება, თუ განმეორდა არეულობა ან საჭირო შეიქმნა საელჩოს ტიანძინში ან სხვა ქალაქში გადიტანა. განზრახვა არა აქვთ ჯარი დასტოვონ საომარ მოქმედებისთვის, ამიტომ აღარც ვალდერზეს მთავარსარდლობა იქნება ამერიკულ ჯარისთვის საჭირო. ბრძანება ჯარების შემცირების შესახებ ჯერ არ გამოცპადებულა, მაგრამ ყოველ წამს შეიძლება იქმნას გამოქვეყნებული.

**ათინა.** კუნძულ კრიტიდან მოვიდა პრინცი გიორგი. როდესაც პრინცი ეტლით მიდიოდა, ერთმა ოფიცრად ნამყოფმა, როგორც სჩანს, ჭკუაზე შეშლილმა, მოინდომა ეტლის გაჩერება და ცხენს ალვირში სტაცა ხელი. ეს კაცი მაშინვე დაატუსაღეს; მას უნახეს რევოლვერი.

**ვაშინგტონი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება, რომ ამერიკის ხმელეთის ჯარი ჩინეთში, თუ გარემოება ხელს შეუწყობს, შესამჩნევად იქნება შემცირებული; ხოლო ფლოტი ჩინეთის წყლებში გაძლიერებულიც იქნება შემდეგში. ამერიკის ინტერესების დასაცველად ჩინეთში და ფილიპეს კუნძულებზე დაინიშნენ გემები „ანნაპოლი“, „ვიკსბურგკელლინგტონ“ და „დოროტეია“; ჯავშნიანი ხომალდი „კენტუკი“ აგრეთვე გაიგზავნა ჩინეთში, კრეისერი „ალბანი“ მანილიაში.

**ვაშინგტონი.** მინისტრმა გამოაქვეყნა ნოტები, რომლებიც მას გაუგზავნია ჩინეთისა და გერმანიისთვის და რომელნიც ეხებიან შეერთებულ შტატების პოლიტიკას ჩინეთის საქმეში. გერმანიისთვის გაგზავნილს ნოტაში სწერია, რომ აჯაყების მოთავეების დასჯას შტატებიც საჭიროდ სთვლიანო, რათა მომავალში აღარ განმეორდეს ასეთი რამეო; მაგრამ შტატების მთავრობის აზრით, დასჯას მაშინ უფრო მეტი მნიშვნელობა ექნება, როდესაც თვით იმპერატორის ბრძანებით იქნება მოხდეენილი. აქ ჰფიქრობენ, რომ უმჯობესი იქნება თვით ჩინეთის მთავრობამ დასაჯოს მეამბოხენი, რადგანაც ეს აღამაღლებს მთავრობის ავტორიტეტს- ჩინეთისთვის გაგზავნილს ნოტაში ნათქვამია, რომ ამერიკის მთავრობა თანახმაა ლიხუნჩანგი და პრინცი ცინი სცნოს ჩინეთის წარმომადგენლებად და კონჯერს ბრძანება მიეცემა დაიწყოს მათთან მოლაპარაკება. ნოტები მოკლედ არის შედგენი; გერმანიისთვის გაგზავნილი პასუხი ფრთხილად არის დაწერილი, თითქოს უარის თქმის შესამსუბუქებლად.

**პეტერბურგის ბირჟა 9 სექტემბერს**

| | მყიდვე-ლნი. | გამყიდ-ველნი | გაყიდუ-ლნი. |
|---|---|---|---|
| | მ ი | ნ ი | თ ი |
| 4°/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | — | — | 96¹/₈ |
| 4¹/₂°/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 99¹/₂ |
| 4°/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 97¹/₄ | — |
| 5°/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 324 |
| 5°/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 281¹/₄ |
| 5°/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 210¹/₂ |
| 3¹/₂°/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | — | 88¹/₄ | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5°/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | — | — |
| 4¹/₂°/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | — |
| ქუთ. საადგ. - მამ. ბანკის 6°/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | — | — |
| 5°/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . . | — | — | — |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | — | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 87 | — |

დრ. რედ. ალ. ჯაბადარი

# გამოსადეგი ცნობანი

## საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათუროვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი: ავლაბრისა**, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, გორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენჰაუზენის და ექუზოვის სახლში. ექიმი მ. ბედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენ[illegible]თ ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი ბულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

მატარებელი № 4 ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო** მატარებელი № 74/75 ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო** მატარებელი № 76/77 ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო** მატარებელი **№ 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუაღ. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დილით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

მატარებელი № 8 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მიდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ., სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საავარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საავარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დილით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

**გამგეობისაგან.**

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (ფსევდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

**გლეხი-კაცის ისტორია,**

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | | |
|---|---|---|
| ნაწილი I | საერო კრება | 60 კ. |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II | სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III | წელიწადი პირველი რესპუბლიკისა | 1 მ. 20 „ |
| და ნაწილი IV | მამულიშვილი ბონაპარტი | |
| | იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრმები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**

გამომც. ე. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Сентября 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განჯის დიდი ქუჩა, № 27.